



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 119/ს
01/06/2022

119-21-4-202206011101



ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობის მიმდებარედ, შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, კობის სამშენებლო (საცხოვრებელი) ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობის მიმდებარედ, კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, კობის სამშენებლო (საცხოვრებელი) ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობის მიმდებარედ, კობი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოწყობილი კობის სამშენებლო (საცხოვრებელი) ბანაკის ჩრდილოეთით, დაახლოებით 60-70 მეტრში. გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატებია: X – 459722; Y – 4711867. გამწმენდი ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 180 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ნარვანა - 60 მეტრით.

2021 წლის 6 დეკემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ და 82² მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065186 და №065188 ოქმები და მასალები განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის რაიონულ სასამართლოს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო (საცხოვრებელი) ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხორციელდება გერმანული წარმოების, „KLARO SBR retrofit kit 533 PE“ ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საშუალებით, რომლის წარმადობა შეადგენს 79,95 მ³/დღ და გათვლილია 533 ადამიანზე. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობამდე მიწოდება ხორციელდება 200 მმ დიამეტრის მქონე გოფირებული მილით, რომელზეც დამონტაჟებულია 1 მეტრი დიამეტრის და 1-2,5 მეტრამდე სიმაღლის საკანალიზაციო ჭები. სამშენებლო

(საცხოვრებელი) ბანაკის ტერიტორიაზე დასაქმებულია 490 ადამიანი. წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მოცულობა, დასაქმებულთა რაოდენობისა და მოხმარებული წყლის დაახლოებით 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით, შეადგენს 35,3 მ³/დღ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს სამკამერო სისტემას და მუშაობს აერობული SBR პრინციპით. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა მოიცავს ჩატვირთვის, აერაციისა და დალექვის ფაზებს. ჩატვირთვის ფაზაზე ჩამდინარე წყლები გროვდება ბუფერულ ავზში, სადაც ხდება მასის დაყოვნება და დაბალანსება სედიმენტაცია-ფლოტაციის პროცესის წარმოებისათვის. პნევმატური ამწის საშუალებით, მყარი მასისგან თავისუფალი, თხევადი მასა გადადის გააქტიურებული შლამის ზედაპირზე. პნევმატური ამწე ასევე უზრუნველყოფს აქტიურ შლამზე წყლის მინიმალური დონის შენარჩუნებას. აერაციის პროცესი, რომელსაც არეგულირებს ჰაერის კომპრესორი, მიმდინარეობს გარკვეული პერიოდულობით. აქტიურ შლამზე დალექვის ფაზის დროს, 90 წუთის განმავლობაში, აერაციას ადგილი არ აქვს. კამერის ფსკერზე და სუფთა წყლის მასის ზედა არეში წარმოიქმნება სილის ფენა. გამწმენდი ნაგებობა სრულად ავტომატიზებულია და არ საჭიროებს ყოველდღიურ მომსახურებას. მასში დაგროვილი ლამის ამოღება ხდება ყოველწლიურად, ასენიზაციის მანქანების საშუალებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, „KLARO SBR retrofit kit 533 PE“ ტიპის გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები შემდეგია: pH 6.5 - 8,5; შეწონილი ნაწილაკები - 60 მგ/ლ; ჟმბ₅ - 25 მგ/ლ; ქქმ - 125 მგ/ლ; საერთო ფოსფორი - 2 მგ/ლ; საერთო აზოტი - 15 მგ/ლ და ცხიმები - 5 მგ/ლ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყლის ჩაშვება, 150 მმ დიამეტრის გამყვანი კოლექტორის საშუალებით, ხდება მდ. ნარვანში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X- 459801; Y- 4711892.

როგორც უკვე აღინიშნა, სკრინინგის განცხადების თანახმად, გამწმენდი ნაგებობა და მისი ინფრასტრუქტურა უკვე მოწყობილია. შესაბამისად, ვინაიდან გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს არსებულ ობიექტს და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია დაკავშირებულია არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნასთან, კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება მცირე რაოდენობის (დაახლოებით 2 მ³/წელ) ლამი. როგორც უკვე აღინიშნა, გამწმენდი ნაგებობაში დაგროვილი ლამის გატანა ხდება ასენიზაციის მანქანებით, წელიწადში ერთხელ, მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობისა და მისი ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული ტერიტორიების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გავრცელებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები. გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია არსებული სამშენებლო (საცხოვრებელი) ბანაკის მიმდებარედ, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც წარმოდგენილი არ არის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. ვიზუალური დათვალიერებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილი იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და წარმადობის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობის მიმდებარედ, შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ კომბი-ქვეშეთის გზის I ლოტის (გვირაბის სექცია) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, კობის სამშენებლო (საცხოვრებელი) ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო